ინტერპრესნიუსი 4.11.2020

სენაკის ქუჩების ნაწილსა და სოფელ მენჯისში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა მოეწყობა

სენაკის ქუჩების ნაწილსა და სოფელ მენჯისში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა მოეწყობა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს, წყალმომარაგების კომპანია რეგიონებში წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას განაგრძნობს. ამჯერად, ქალაქ სენაკის ცალკეული ქუჩებისა და სოფელ მენჯის წყალმომარაგების სისტემის პროექტირება-მშენებლობაზე გამოცხადდა ტენდერი. „ტენდერში მონაწილეობის მსურველები წინადადებების წარდგენას 4 ნოემბრიდან - 9 ნოემბრის ჩათვლით შეძლებენ. გამარჯვებულმა კონტრაქტორმა კომპანიამ, სამუშაოები 12 თვის ვადაში უნდა დაასრულოს. ქალაქ სენაკისა და სოფელ მენჯის წყალმომარაგების სისტემა მოძველებულია, ხშირია დაზიანებებისა და წყლის ამღვრევის ფაქტები. მოსახლეობა სასმელ წყალს შეზღუდული გრაფიკით ღებულობს. სამუშაოები ითვალისწინებს, ძველი, ამორტიზებული მილების ახლით ჩანაცვლებას. გარდა ამისა მოეწყობა წყალმომარაგების ახალი ქსელი. პროექტის შედეგად, დაახლოებით 300 ადამიანი გაუმჯობესებული წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი. სამუშაოებს 1 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება“,-ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

iPN პოლიტიკა სამართალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი

რეგიონი 04.11.2020 / 15:40

სენაკის ქუჩების ნაწილსა და სოფელ მენჯისში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა მოეწყობა

სენაკის ქუჩების ნაწილსა და სოფელ მენჯისში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა მოეწყობა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს, წყალმომარაგების კომპანია რეგიონებში წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას განაგრძნობს. ამჯერად, ქალაქ სენაკის ცალკეული ქუჩებისა და სოფელ მენჯის წყალმომარაგების სისტემის პროექტირება-მშენებლობაზე გამოცხადდა ტენდერი.

„ტენდერში მონაწილეობის მსურველები წინადადებების წარდგენას 4 ნოემბრიდან - 9 ნოემბრის ჩათვლით შეძლებენ. გამარჯვებულმა კონტრაქტორმა კომპანიამ, სამუშაოები 12 თვის ვადაში უნდა დაასრულოს. ქალაქ სენაკისა და სოფელ მენჯის წყალმომარაგების სისტემა მოძველებულია, ხშირია დაზიანებებისა და წყლის ამღვრევის ფაქტები. მოსახლეობა სასმელ წყალს შეზღუდული გრაფიკით ღებულობს. სამუშაოები ითვალისწინებს, ძველი, ამორტიზებული მილების ახლით ჩანაცვლებას. გარდა ამისა მოეწყობა წყალმომარაგების ახალი ქსელი. პროექტის შედეგად, დაახლოებით 300 ადამიანი გაუმჯობესებული წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი. სამუშაოებს 1 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება“,-ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/627593-senakis-kuchebis-nacilsa-da-sopel-menjisshi-cqalmomaragebis-inprastruktura-moecqoba

ინტერპრესნიუსი

5.11.2020

ნუკრიანის, ზემო მაღაროსა და ზემო ბოდბეს სტაბილური წყალმომარაგებისთვის სისტემები მოეწყობა

გაერთიანებული წყალმომარგების კომპანიამ სიღნაღის მუნიციპალიტეტის 3 სოფლის სტაბილური
წყალმომარაგებით უზრუნველყოფისთვის ახალი სისტემების პროექტირება-მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა.
როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანიიდან აცნობეს, სამუშაოებს 11 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება. მათი ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში სოფლების - ნუკრიანის, ზემო მაღაროსა და ზემო ბოდბეს სტაბილური წყალმომარაგებისთვის სისტემები მოეწყობა.
„დაინტერესებულ პირებს წინადადების წარდგენა 11 ნოემბრიდან - 17 ნოემბრის ჩათვლით შეეძლებათ. წყალმომარაგების სისტემა სამივე სოფელში მოძველებულია. ასევე , რეაბილიტაციას საჭიროებს არსებული სატუმბო სადგური და ჭაბურღილები. გარდა ამისა, მოეწყობა ახალი მაგისტრალური მილები. პროექტის განხორციელების შედეგად, 2 500-ზე მეტი ადამიანი სტაბილური წყალმომარაგებით ისარგებლებს.
გამარჯვებული კომპანიამ სამუშაოები 17 თვეში უნდა დაასრულოს”, - აღნიშნულია ინფორმაციაში.



IPN

პოლიტიკა საგარეო საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი

05.11.2020 / 13:36

ნუკრიანის, ზემო მაღაროსა და ზემო ბოდბეს სტაბილური წყალმომარაგებისთვის სისტემები მოეწყობა

გაერთიანებული წყალმომარგების კომპანიამ სიღნაღის მუნიციპალიტეტის 3 სოფლის სტაბილური წყალმომარაგებით უზრუნველყოფისთვის ახალი სისტემების პროექტირება-მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანიიდან აცნობეს, სამუშაოებს 11 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება.

მათი ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში სოფლების - ნუკრიანის, ზემო მაღაროსა და ზემო ბოდბეს სტაბილური წყალმომარაგებისთვის სისტემები მოეწყობა.

„დაინტერესებულ პირებს წინადადების წარდგენა 11 ნოემბრიდან - 17 ნოემბრის ჩათვლით შეეძლებათ. წყალმომარაგების სისტემა სამივე სოფელში მოძველებულია. ასევე , რეაბილიტაციას საჭიროებს არსებული სატუმბო სადგური და ჭაბურღილები. გარდა ამისა, მოეწყობა ახალი მაგისტრალური მილები. პროექტის განხორციელების შედეგად, 2 500-ზე მეტი ადამიანი სტაბილური წყალმომარაგებით ისარგებლებს.

გამარჯვებული კომპანიამ სამუშაოები 17 თვეში უნდა დაასრულოს”, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/627760-nukrianis-zemo-magarosa-da-zemo-bodbes-stabiluri-cqalmomaragebistvis-sistemebi-moecqoba